



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000027733021118

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 34

03 / ოქტომბერი / 2018 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2018 წლის 19 ივნისს გამოცხადებულ, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით ვერ გაყიდული, ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 193.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებით, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 35%-იანი ფასდაკლებით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე. გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით ვადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 38-ე მუხლისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ქონების: ქ. ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 193.0კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ50.04.43.484) განმეორებით, ღია საჯარო პირობიანი აუქციონის წესით პრივატიზების, საწყისი საპრივატიზებო საფასური 35 %-იანი ფასდაკლებით -3764 (სამიათას შვიდას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით.
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში (ქ.ახმეტა, ი.ჭავჭავაძის ქ.N101)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამდასმულია
ელექტრონულად



თამარ ყვინიშვილი